დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ინფორმაციული ტექნოლოგიების

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 აპრილი, 2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

ია

მოსაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი / Bachelor of Information Technologies
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	061 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0612
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ. 122

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

		უნივერსიტეტის II კორპუსი, საქართველო 0800
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 11.09.2020წლის გადაწყვეტილება N820912
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 27 აგვისტო
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	12 თვე - 2020 წლის 27 აგვისტო
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 27 აგვისტო

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			

4. სწავლებისრესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგან ვითარებისშესაძლებლ ობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. განხორციელდეს აქტივობები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით;
2. სისტემატურად გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები დამსაქმებელთა მოთხოვნების და დარგში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად;
3. თვითშეფასების დოკუმენტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ნაწილში;
4. გადაიხედოს და დაზუსტდეს შემდეგი კურსების სილაბუსები: დაპროგრამების საფუძვლები; ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება I (C++); ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება II (C++);
5. სილაბუსებში მოხდეს ტექნიკური და გრამატიკული შეცდომების გასწორება;
6. მოხდეს საგნის ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში ჩანაცვლება, ან შესაბამისი მოდიფიცირება;
7. სტუდენტთა მეტი ჩართულობა პროექტებში მათი სწავლის საფეხურის და პროგრამის შედეგების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

რჩევ(ებ)ი[8]

1. მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება ვებ გვერდზე;

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

2. ვებ გვერდზე ე.წ. აბიტურიენტების ვებ პორტალზე „როგორ ჩავაბარო თქვენთან“ სექცია საჭიროებს განახლებას, კერძოდ, უნდა იქნეს გამოქვეყნებული პროგრამებზე დაშვების წინაპირობებიც უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული პროგრამების დასახელებების ჩამონათვალთან ერთად და უნდა იძლეოდეს შესაბამისი პროგრამის დეტალურ აღწერაზე გადასვლის შესაძლებლობას;
3. პროგრამის პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია პროექტი იყოს სავალდებულო სახით;
4. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის გაუმჯობესება;
5. კმაყოფილების კვლევის კითხვარებში ცალკე ბლოკი მიეძღვნას მაინორის შედეგების შეფასებას და კვლევას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I[14]	განხორციელდეს აქტივობები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ფასდება: **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** სჯსუ-ს მიერ ანგარიშის ფაილში წარმოდგენილია პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული აქტივობები. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პანდემიური პერიოდისა, უნივერსიტეტი ცდილობდა საერთაშორისო აქტივობების განხორციელებას. თუმცა, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ამ აქტივობების ამსახველი დოკუმენტები. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, შემუშავდა ახალი სასაწავლო კურსებიც. კარგი იქნებოდა, თუ ამ კურსების სილაბუსები იქნებოდა წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარდა თანამშრომელთა გადამზადების ტრენინგი, რომელიც გაწერილი იყო Erasmus+ პროექტის გარგლებში. 2021 წელს ჩატარდა სტუდენტთა კონფერენცია. ანგარიშის თანახმად ეს უნდა ყოფილიყო საერთაშორისო კონფერენცია, თუმცა წარმოდგენილი მასალების მიხედვით იყო სტუდენტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია. კონფერენციის პროგრამიდაც ჩანს, რომ ეს კონფერენცია არ იყო საერთაშორისო. 2020 წელს ჩატარებულია სტუდენტთა უნივრსიტეტთშორისი სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“. სჯსუ-მ წარმოადგინა 2020 წელს დადებული საგრანტო ხელშეკრულება Erasmus+ პროექტის ფარგლებში ტალინის უნივერსიტეტთან. რუმინეთის იაშის უნივერსიტეტთან 2020-2021 წლებისათვის გაკეთებულია საერთაშორისო მობილობის განაცხადი. ასევე, საერთაშორისო მობილობის დოკუმენტია წარმოდგენილი 2021 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მობილობების განხორციელების ამსახველი მასალა არ არის წარმოდგენილი.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 5. კონფერენციის მალასა დანართი 6. ინტერნაციონალიზაცია

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

რეკომენდაცია II[15]	სისტემატურად გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები დამსაქმებელთა მოთხოვნების და დარგში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ფასდება: **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** სჯსუ-მ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა, სადაც დამატებულია 2 ალტერნატიული არჩევითი კურსი: - გეოსაინფორმაციო სისტემების (GIS)საბაზო-საოპერაციო კურსი; - GPS აპარატურის კურსი. ანალიზის დოკუმენტის, ან სხვა მტკიცებულება დამსაქმებელთა მოთხოვნების შესახებ არ არის წარმოდგენილი. ანგარიშის ფაილში, 1.1. ქვესტანდრატის ნაწილში, ნათქვამია, რომ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში შემუშავდა სასწავლო კურსი „ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები ახალ სასწავლო გარემოში“, თუმცა მისი სილაბუსი წარმოდგენილ მასალებს შორის არ არის.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 2. პროგრამა და სილაბუსები დანართი 3. სხდომის ოქმები

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2.პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია III[16]	თვითშეფასების დოკუმენტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ნაწილში
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ფასდება: **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** ზემოთ ნახსენები ტექნიკური შეცდომა გასწორებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	წერილი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შიდა ნომერი N171935, 11/02/2020წ)ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარვეზის პასუხი.

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კური
რეკომენდაცია IV[17]	გადაიხედოს და დაზუსტდეს შემდეგი კურსების სილაბუსები: დაპროგრამების საფუძვლები; ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება I (C++); ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება II (C++)
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ფასდება: **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** დაპროგრამების საფუძვლების, ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება I (C++)-ის და ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება II (C++)-ის სილაბუსებში შეტანილია ცვლილებები, აღარ გვხვდება დუბლირებული საკითხები.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 2. პროგრამა და სილაბუსები დანართი 3. სხდომის ოქმები

სტანდარტის დასახელება	2.სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კური
რეკომენდაცია V[18]	სილაბუსებში მოხდეს ტექნიკური და გრამატიკული შეცდომების გასწორება
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ფასდება: **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** ტექნიკური და გრამატიკული შეცდომები გასწორებულია უცხოური (ინგლისური) ენის სილაბუსში.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 2. პროგრამა და სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2.სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კური
რეკომენდაცია VI[19]	მოხდეს საგნის ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში ჩანაცვლება, ან შესაბამისი მოდიფიცირება

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ფასდება: **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში“ ჩანაცვლებულია სასწავლო კურსით „მათემატიკური დაპროგრამება“.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 2. პროგრამა და სილაბუსები დანართი 3. სხდომის ოქმები

სტანდარტის დასახელება	2.სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4.პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VII[20]	სტუდენტთა მეტი ჩართულობა პროექტებში მათი სწავლის საფეხურის და პროგრამის შედეგების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ფასდება: **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** სჯსუ-მ წარმოადგინა სტუდენტთა კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა და შესაბამისი აღწერაა ანგარიშის ფაილშიც. სამეცნიერო მიმართულებით, ნამდვილად ჩანს სტუდენტების ჩართულობა, თუმცა პროექტებში მათი ჩართულობა არ იკვეთება.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 5. კონფერენციის მასალა

სტანდარტის დასახელება	2.სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1.პროგრამაზე დაშვების წინაპიროებები
რჩევა[21]I	მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება ვებ გვერდზე
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	სჯსუ-ს ვებ გვერდი

სტანდარტის დასახელება	2.სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[22]II	ვებ გვერდზე ე.წ. აბიტურიენტების ვებ პორტალზე „როგორ ჩავაბარო თქვენთან“ სექცია საჭიროებს განახლებას, კერძოდ, უნდა იქნეს გამოქვეყნებული პროგრამებზე დაშვების წინაპირობებიც უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული პროგრამების დასახელებების ჩამონათვალთან ერთად და უნდა იძლეოდეს შესაბამისი პროგრამის დეტალურ აღწერაზე გადასვლის შესაძლებლობას;
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	სჯსუ-ს ვებ გვერდი

სტანდარტის დასახელება	1.საგანამანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რჩევა[23]III	პროგრამის პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია, პროექტი იყოს სავალდებულო სახით.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 2. პროგრამა და სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	4.სწავლის რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3. მატერიალური რესურსი
რჩევა[24]IV	უნივერსიტეტის ვებგვერდზე ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის გაუმჯობესება
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 4. ბიბლიოთეკის ხელშეკრულებები სჯსუ-ს ვებ გვერდი

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რჩევა[25]V	კმაყოფილების კვლევის კითხვარებში ცალკე ბლოკი მიეძღვნას მაინორის შედეგების შეფასებას და კვლევას
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 7. კვლევები

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[26]

დანართი 2. პროგრამა და სილაბუსები

დანართი 3. სხდომების ოქმები

დანართი 4. ბიბლიოთეკის ხელშეკრულებები

დანართი 5. კონფერენციის მასალა

დანართი 6. ინტერნაციონალიზაცია

დანართი 7. კვლევები

ექსპერტის ხელმოწერა

[26]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა